პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 24 (5125) | კვირა, 30 იანვარი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთშია:

ტრაქტორების რემონტის მაღალი ხარისხისათვის (მოწვინავე)

1938 წლის ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმა (ათას ჰექტარობით) საქართველოს სს რესპუბლიკისათვის (1-ლი გვ.).

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების შესწავლა (მე-2 გვ.).

წითელი არმიისა და ფლოტის XX წლისთავის შესაბედებლად („პრავდის" მოწვინავე, მე-2 გვ.).

პროფ. გ. ღამბარაშვილი, ექიმი მ. გიგინეიშვილი — დედათა და ბავშვთა ინსტიტუტი უმსგავსოდ, მეტყველი (მე-3 გვ.).

დ. როდონაია — მანქანა-იარაღების რემონტ-ტექნიკური უმჯობესდეს (მე-3 გვ.).

დ. ლომთაძე — ნიღაბჩამოხსნილი ელია (მე-4 გვ.).

უცხოეთში:

ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე (1-ლი გვ.).

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიმართვა (1-ლი გვ.).

ტრაქტორების რემონტის მაღალი ხარისხისათვის

ამას წინათ სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა თავიანთ დადგენილებაში აღნიშნეს, რომ თესვისათვის მზადება სრულიად არადამაკმაყოფილებელია. ჩამორჩენილთა შორის აღნიშნული იყო საქართველოც. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა და საქართველოს სახკომსაბჭომ გაატარეს მთელი რიგი ღონისძიებანი ჩამორჩენის გამოსასწორებლად. თესვისათვის მზადების ისეთ გადამწყვეტ უბანზე, როგორიცაა ტრაქტორების რემონტი, პირველი შედეგები უკვე მიღწეულია. იქ, სადაც ხამდვილად სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. ამასწინათ აბაშის მტს-ის მუშაკების, ტრაქტორისტებისა და მოსამსახურეთა კრებამ მოწოდებით მიმართა საქართველოს მტს-ების მუშაკებს სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ ტრაქტორების დროულად და მაღალხარისხოვნად შეკეთებაზე. შეჯიბრებაში ჩაებნენ მთელი რიგი მტს-ები, სოციალისტური შეჯიბრების პირველი შედეგები ასეთია: აბაშის, თელავის, ბორჩალოს, ახალციხის, თიანეთის, სამტრედიის, ზესტაფონის, გეგეჭკორის, მახარაძის, ლანჩხუთისა და გალის მტს-ებმა უკვე დაამთავრეს რემონტი.

მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ტრაქტორების შეკეთებაში ყველგან დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყოს. მთელმა რიგმა მტს-ებმა ჯერ კიდევ ვერ გამოასწორეს ჩამორჩენა. არავითარი „ობიექტური" მიზეზები არ არსებობს ჩამორჩენის გასამართლებლად. საქმე მხოლოდ ხელმძღვანელობასა და ახლებურად მუშაობაშია. გამარჯვებას აღწევს ის მტს, სადაც შრომა სწორად არის მოგვარებული, ტრაქტორისტებს უქმნიან ნორმალური მუშაობის პირობებს, ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და დანერგილია მუშაობის სტახანოვური მეთოდები, სადაც დამყარებულია ბოლშევიკური წესრიგი.

საერთო აღმავლობის მიღწევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას. სოციალისტური შეჯიბრების დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ მოწინავენი დაეხმარონ ჩამორჩენილებს და მიაღწიონ საერთო აღმავლობას. მისაბაძია თელავის მტს-ის ბრიგადირის გავნიძის მაგალითი. გავნიძის ბრიგადა სოცშეჯიბრებაში ჩაება გარაყანიძის ბრიგადასთან. გავნიძის ბრიგადამ გეგმით მიცემული 5 ტრაქტორი ვადაზე ადრე შეაკეთა და მუშაობის დამთავრების შემდეგ დაეხმარა გარაყანიძის ბრიგადას. ამ ამხანაგური დახმარების შედეგად გარაყანიძის ბრიგადამ წარმატებით შეასრულა ტრაქტორების შეკეთების გეგმა.

რემონტის მხრივ ცუდი მდგომარეობაა წნორის მტს-ში (დირექტორი ამხ. ფეიქრიშვილი). 25 იანვრისათვის ამ მტს-ს ტრაქტორების შეკეთების გეგმა შესრულებული ჰქონდა 29 პროცენტით.

ოჩამჩირის მტს დიდი რიხით ჩაება სოცშეჯიბრებაში, მაგრამ ნაკისრი ვალდებულებანი დღემდის ქაღალდზე რჩება. მტს-ის ხელმძღვანელნი (ბასილაია, პანტია) „ობიექტურ" მიზეზს უჩივიან—არა გვაქვს სათადარიგო ნაწილებიო. გამოირკვა, რომ სათადარიგო ნაწილები მათ მხოლოდ რემონტის გახურებულ პერიოდში მოაგონდათ. ამით აიხსნება, რომ 25 იანვრისათვის გეგმა შესრულებული ჰქონდათ 23,1 პროც.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებიდან ყველა საჭირო დასკვნა არ გამოუტანიათ ლაგოდეხის მტს-ის ხელმძღვანელებს. ამის შედეგია, რომ აქ რემონტის გეგმა შესრულებულია 32,1 პროცენტით.

ტრაქტორების რემონტი უხეიროდ არის დაყენებული თბილისის მტს-ში, 25 იანვრისათვის შეკეთებული იყო 24 ტრაქტორი, გეგმის 36,9 პროცენტი. ნაცვლად იმისა, რომ მიიღოს გადამჭრელი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად, დირექტორი ამხ. მდივნიშვილი კვლავ სათადარიგო ნაწილების უქონლობას უჩივის. მაგრამ ამით არ შეიძლება გამართლებულ იქნას რემონტის დაბალი ტემპები. ეს სჩანს იმ მტს-ების მაგალითით, რომელთაც რემონტი უკვე დაამთავრეს. ჩამორჩენის მიზეზია ის, რომ თბილისის მტს-ში მოუწესრიგებელია საქმის ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარე.

ისევ ძალიან ჩამორჩენილი არიან გორის, კასპის, ახალსოფლის, წეროვნის, საგარეჯოს, გურჯაანის მტს-ები. რას იტყვიან თავიანთ მტს-ებში ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენის შესახებ რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელნი?

ბევრგან ყურადღება არ ექცევა ტრაქტორების რემონტის ხარისხს. ხარისხის გარეშე არ არსებობს გეგმის შესრულება. ეს მტკიცედ უნდა იქნას გათვალისწინებული. აგარის, ოსიაურის, ბორჩალოს, თბილისის, საგარეჯოს, ქუთაისის მტს-ებში აჭრით მიღებული ტრაქტორების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ შეკეთების ხარისხი დაბალი იყო. არის სიგნალი, რომ ტრაქტორების რემონტის ხარისხი მდარეა დუშეთისა და ოჩამჩირის მტს-ებში. დროა აღიკვეთოს ეს სამარცხვინო მდგომარეობა. უნდა დავაწესოთ მტკიცე ყოველდღიური კონტროლი ტრაქტორების რემონტის ხარისხზე და მკაცრად დავსაჯოთ ისინი, ვინც შემჩნეული იქნება არაკეთილხარისხოვან რემონტში.

ზოგიერთი მტს-ის დირექტორი უჩივის თანხების ნაკლებობას სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის შესაძენად. ნამდვილად კი მტს-ების დირექტორები არ ღებულობენ ზომებს ფინანსიური მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. რაც მთავარია, არ იღებენ გადამჭრელ ზომებს საღებიტორო დავალიანების ასაკრეფად. მაგალითად, აგარის მტს-ის საღებიტორო დავალიანება აღწევს 342.000 მანეთს, ყვარლისა (დირექტორი ამხ. ჭაია)—223.000 მან., ხოლო წნორისა—225.000 მანეთს. მტს-ების დირექტორებმა ეს მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოასწორონ.

ძალიან ჭიანურდება მისაბმელი ინვენტარის რემონტი. 25 იანვრისათვის გუთნების შეკეთების გეგმა რესპუბლიკაში შესრულებული იყო 39,2 პროცენტით. ამ რიცხვისათვის ეს სამუშაო დაწყებული არ ჰქონდათ ახალსოფლის, სტალინირის, თბილისის, ყარაიას, ბაშკიჩეთის და წალკის მტს-ებს. სათესების შეკეთების გეგმა შესრულებულია 35 პროცენტით. 25 იანვრისათვის 36 მტს-დან სათესების რემონტი დაწყებული ჰქონდა 15-ს. ეს ჩამორჩენა იმითაც აიხსნება, რომ მისაბმელი ინვენტარის რემონტს ზოგან წვრილმანად სთვლიან. ეს მეტისმეტად მავნე შეხედულებაა და იგი ძირშივე უნდა აღვკვეთოთ.

მთელი ძალღონე უნდა ვიხმაროთ ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტის დარგში არსებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად, მოწინავეთა გამოცდილება ფართოდ დავნერგოთ სტახანოველთა რიგების გასამრავლებლად. დროა ბოლო მოეღოს ნამდვილი სოციალისტური შეჯიბრების შეცვლას ხმაურითა და დეკლარაციებით, რასაც აქა-იქ ხვდებით. მტს-თა ყველა სახელოსნოში დავამყაროთ ნამდვილი ბოლშევიკური წესრიგი.

საკოლმეურნეო წყობილებისა და მთელი ხალხის უბოროტესი მტრები, კონტრრევოლუციონერი ტროკისტ-ბუხარინელი ნაძირალები განზრახ ფუშავდნენ სატრაქტორო პარკის მუშაობას, რათა ძირი გამოეთხარათ აყვავებული სოფლის მეურნეობისათვის. საზიზღარ მტრებს დანაშაულზე წაასწრეს. ფაშიზმის მოსყიდული აგენტები, მავნებელ-დივერსანტები განადგურებული არიან. სამიწათმოქმედო დარგის მუშაკთა გადაუდებელი ამოცანაა ბარტორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ბოლომდე აღმოფხვრან მავნებლობის შედეგები. საგაზაფხულო თესვას მომზადებული უნდა შევხვდეთ ყოველმხრივ.

ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე

ჟენევა, 28 იანვარი (საკდესი). ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე გამოსულმა ბეკმა (პოლონეთი) განაცხადა, რომ პოლონეთის მთავრობას განზრახვა აქვს ითანამშრომლოს ყველა ქვეყანასთან, ხაზი გაუსვა რა სიტყვას „ყველას", ვინაიდან იგი „აღნიშნავს, რომ ახლანდელ პირობებში საარსებო გადაწყვეტილებანი მიღებულ უნდა იქნას სუვერენულ სახელმწიფოთა მთავრობების მიერ თავისი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით". ამ გამოსვლას, რითაც ხაზგასმულ იქნა ის გარემოება, რომ პოლონეთის მთავრობა თავის თავს თავისუფლად სთვლის ყოველგვარი ვალდებულებისაგან ერთა ლიგის მიმართ და მხოლოდ ხელმძღვანელობს თავის სუვერენული უფლებებით, არავინ გაუკვირვებია.

მუნტერსი (ლატვია) შეუერთდა მტკიცებებს „ერთა ლიგის პრინციპების ურყეობის" შესახებ და ამასთან ერთად გაილაშქრა „იდეოლოგიური ანტაგონიზმების" წინააღმდეგ.

მიჩესკუმ (რუმინეთი) მცირე ანტანტის სახელმწიფოთა სახელით გამოსთქვა მათი ერთგულება ერთა ლიგისადმი და მათი სურვილი „უნივერსალობისა", სურვილი თავიდან აიცილონ „იდეოლოგიური კონფლიქტები იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც არ შედიან ერთა ლიგაში". როგორც სჩანს, მხედველობაში ჰქონდა რა რუმინეთის მთავრობის იმ ანტისემიტური ღონისძიებებით გამოწვეული საყოველთაო აღშფოთება, რომლებსაც იგი ატარებს თავის საერთაშორისო ვალდებულებათა დასარღვევად, მიჩესკუმ დასძინა, რომ რამდენადაც ლატარაკიკი არ შეიძლება, რომელიმე ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევაზე, „ნაციონალური კონცეპციებისადმი ურთიერთ პატივისცემა წესად უნდა დარჩესო".

უნდენმა (შვეიცია), აღნიშნა რა მისი ქვეყნის ლოიალობა ერთა ლიგის მიმართ, მისი სურვილი მიაღწიოს ერთა ლიგის განმტკიცებას, განაცხადა, რომ მას იმედი აქვს სხვა სახელმწიფოებთან ერთად დაეხმაროს იმას, რომ ერთა ლიგა არ იცავდეს „ერთი რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის ნაციონალურ ანგარებითს ინტერესებს".

ლიგის კულუარებში ამ განცხადებას უყურებენ, როგორც იმის გამოხატულებას, რომ მცირე სახელმწიფოებს რამდენადმე იმედი გაუცრუა ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკამ. ამასთან ერთად აღნიშნავენ, რომ, სამწუხაროდ, სიტყვა ისე იყო შედგენილი, რომ მას შეუძლია სამსახური გაუწიოს მხოლოდ ერთა ლიგისა და მშვიდობიანობის მტრებსო.

სპააკმა (ბელგია) განაცხადა, რომ ლიგის განმტკიცების ყველაზე უკეთესი საშუალებაა „დავპირდეთ ხალხებს მხოლოდ ის, რისი შესრულებაც ნამდვილად შეიძლება". სპააკმა განმარტა, რომ ეს განცხადება ნიშნავს „ლოიალურ ცდას მისცენ ერთა ლიგას საჭირო უნივერსალობა", „ბელგიას,—განაცხადა სპააკმა,— განზრახვა აქვს ემსახუროს თავის იდეალს, უკან არ დაიხიოს რეალობის წინაშე და ამ საფუძველზე აცხადებს თავის თავს ერთა ლიგის ერთგულად".

გამოვიდნენ აგრეთვე კალდერონის (პერუ), კევედო (ეკვადორი) და თავმჯდომარე ადლესი (ირანი) რომელმაც აღნიშნა, რომ, მისი მთავრობის აზრით, ერთა ლიგა წარმოადგენს სასიცოცხლო აუცილებლობას, რის შემდეგ საბჭოს სხდომა დაიხურა.

ერთა ლიგის საბჭოს საღამოს სხდომა

ჟენევა, 28 იანვარი (საკდესი). გუშინ საღამოს ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე პირველი გამოვიდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი. მან განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობა რჩება ერთგული ერთა ლიგის მიზნებისა და იდეალებისა, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ლიგას, რომლის შესაძლებლობანიც ახლა შეზღუდულია, არ ძალუძს შეასრულოს ყველა ის ფუნქცია, რომელთათვისაც იგი შექმნილი იყო. აუცილებელია, განაგრძო იდენმა, დავიცვათ ყოველივე ის, რაც დაგვრჩენია, ვინაიდან ლიგა ჯერ კიდევ საერთაშორისო თანამშრომლობის საუკეთესო იარაღს წარმოადგენს.

დასასრულ იდენმა დაჰგმო ცდები გადაექციათ ლიგა ამათუიმ იდეოლოგიის იარაღად, „ვინაიდან ერთადერთი მისი იდეოლოგია არის მშვიდობიანობა და საერთაშორისო თანამშრომლობა".

ამრიგად, იდენმა ხელი გაუმართა ყველა იმ სახელმწიფოს, რომელთაც, ბრიტანეთის მთავრობის აზრით, ეშინიათ ლიგის წესდების პრინციპთა „მეტისმეტად" გაშოყნებისა.

შემდეგ გამოვიდა დელბოსი, რომელმაც ხაზი გაუსვა საფრანგეთის ერთგულებას ერთა ლიგისადმი.

დელბოსმა სთქვა: „ისინი, ვინც იბრძვიან ერთა ლიგის წესდების წინააღმდეგ, ბრალსა სდებენ რა მას, რომ მასში არის განსაკუთრებული იდეოლოგია, თვითონვე იძულებულნი შეიქნენ მიემართნათ სხვა იდეოლოგიისათვის, ხოლო იმ ორმხრივ მეთოდებს, რომელთაც ისინი ჰქადაგებენ, კოლექტიურ კონცეპციად გარდაქმნის ტენდენცია აქვთ". მიმართა რა იმათ, ვინც ეჭვის თვალით უყურებენ ერთა ლიგის შესაძლებლობებს, დელბოსმა განაცხადა, რომ „უენევაში წარმოდგენილი ნაციები, თუ ისინი ამას მოისურვებენ, ისეთ მატერიალურ და მორალურ ძალად მოგვევლინებიან, რომელიც გაცილებით აღემატება ყოველგვარ სხვა ძალას".

დასასრულ დელბოსმა განაცხადა, რომ საყოველთაო მშვიდობიანობის მოწყობა და შენარჩუნება შეიძლება მხოლოდ ლიგის გამოცოცხლებით.

დელბოსის შემდეგ გამოვიდა ამბ. ლიტვინოვი, რომლის სიტყვაც ღრმა ყურადღებით იქნა მოსმენილი.

შემდეგ გამოვიდა ჩინეთის პირველი დელეგატი ველინგტონ კუ, რომელმაც ხაზი გაუსვა ლიგის ავტორიტეტის ღრმად დაცემას მისი უმოქმედობის გამო. არასოდეს თავისი არსებობის დროის განმავლობაში, განაცხადა ველინგტონ კუმ, ერთა ლიგის პრესტიჟი არ ყოფილა ისე დაცემული, როგორც ახლა. მსოფლიო იმყოფება უუფლებობისა და ძალადობის არნახულ მდგომარეობაში.

თუ თვითონ ლიგაში შემავალს სახელმწიფოებს სერიოზულად არ მიაჩნიათ წესდებიდან გამომდინარე თავისი მოვალეობანი, მაშინ როგორღა შეუძლიათ მათ მოელოდნენ სხვა სახელმწიფოებისაგან, რომელნიც ლიგაში არ შედიან, რომ ისინი უფრო გულმოდგინედ იცავდნენ ხელშეკრულებებს და გრძნობდნენ ერთგვარ შემაჩერებელ გავლენას ლიგის მხრივ?

საბჭოთა კავშირში

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატების შეხვედრა ამომრჩევლებთან

ბაქო, 28 იანვარი (საკდესი). გუშინ ბაქოს კულტურის სასახლეებში მოხდა მოსკოვიდან საბჭოთა პარლამენტის პირველ სესიიდან დაბრუნებულ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატების შეხვედრა ამომრჩევლებთან. შაუმიანის რაიონის კულტურის სასახლეში ათასკაციანმა აუდიტორიამ დიდი ინტერესით მოისმინა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატების ამხ. ნიკოლოზ კულკოვისა და სალიმ ფასუმოვის გამოსვლა.

800-მდე მუშა, მოსამსახურე, სპეციალისტი, წითელფლოტელი და დიასახლისი შეხვდა დეპუტატ ალი აღა ბაბაევს სტალინის ნავთსარეწაო რაიონის კულტურის სასახლეში.

ნავთის ამოღების წარჩინებულმა ოსტატმა ამხ. კოსტანიანმა, რომელიც ტრესტ „სტალინნეფტის" მეხუთე სარეწაოზე მუშაობს, სთქვა:

— ჩვენი სარეწაოს ნავთის მრეწველობის მუშაკთა კოლექტივმა დამავალა გადმოგცეთ, რომ იგი ერთსულოვნად იწონებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ჩვენმა დეპუტატმა მირ ჯაფარ ბაგიროვმა ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშაკთა სახელით სესიაზე პირობა დასდო, რომ მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმა ნავთის ამოღების დარგში რეალიზებულ იქნება. ჩვენ სტახანოველები და დამკვრელები სიტყვას ვიძლევით, რომ ჩვენი სახელით მიცემულ ამ დაპირებას სასახელოდ შევასრულებთ.

შეკრებილებმა დიღის აღფრთოვანებით მიიღეს ამხანაგ სტალინისადმი მისასალმებელი წერილი.

დამთავრდა საბჭოების სასახლის მთავარი საძირკვლები

გუშინ დამთავრდა საბჭოების სასახლის მთავარი საძირკვლების ბეტონირება. დღის ოთხ საათზე ჩაასწყეს ბეტონის უკანასკნელი კუბმეტრი. იქვე მოედანზე შესდგა მშენებელთა მოკლე მიტინგი. საბჭოების სასახლის მთავარი საძირკვლები წარმოადგენენ ორ ვეებერთელა კონცენტრულ ბეტონის რგოლს. საძირკვლების ჩასაყრელად გათხრილი იყო დიდი და ღრმა ქვაბული. მშენებლებს მოუხდათ ემუშავნათ მცურავ ქანზე და წყლიანკლდოვან გრუნტზე მდინარე მოსკოვის მახლობლად 20 მეტრ სიღრმეზე წყლის დონის დაბლა. ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევებში ხმაროებენ დახურულ კესონებს, რომლებშიც უშვებენ შეკუმშულ ჰაერს.

მშენებლობაზე გამოიყენეს ახალი მეთოდი. მომავალი საძირკვლების ირგვლივ გაბურღილი იყო მრავალი ღრული, რომლებშიც ჭირხნიდნენ ცხელ ბიტუმს. გაცივების შემდეგ იგი ჰქმნიდა კედელს, რომელიც არ ატარებს წყალს (ამ კედლის საერთო სიგრძემ ერთ კილომეტრს მიაღწია). ამან შესაძლებლობა მისცა მშენებლებს მიწისა და ბეტონის სამუშაოები ეწარმოებინათ ღია ჰაერზე.

ქვაბულის თხრისას ამოღებულია 88 ათასი კუბმეტრი ქანი. მთავარ საძირკვლებში ჩაწყობილია 63 ათასი კუბომეტრი ბეტონი.

ამჟამად დაწყებულია საძირკვლების თავზე 64 დიდი რკინაბეტონის კოჭის მორგება. თვითეული მათგანი 400 კუბიკური მეტრის მოცულობისაა და იწონის დაახლოებით 1.000 ტონას.

ამ კოჭებზე დაიდგმება ვეებერთელა ფოლადის ბუნიკები, რომლებზედაც დაყრდნობილი იქნება საბჭოების სასახლის ლითონის კარკასი.

„პრავდა".

ახალი ძვირფასი ექსპონატი ვ. ი. ლენინის მუზეუმის ლენინგრადის ფილიალში

ლენინგრადი, 28 იანვარი (საკდესი). ვ. ი. ლენინის მუზეუმის ლენინგრადის ფილიალს შეემატა ახალი ძვირფასი ექსპონატი — ხალიჩა, რომელიც ასახავს ჭართველი მხატვრის თოიძის პლაკატს „ლენინის დროშით".

ამ ხალიჩაზე, რომელიც ორმოც ფერად არის მოქსოვილი, ოთხ თვეს სიყვარულით მუშაობდა არტელ „ლენინტტრუდსოიუზის" სახალიჩო სახელოსნოს 12 მქსოველი: ამხანაგები სუვოროვა, ზაპოლსკაია, ჩურგანოვა, ბლინოვა, ბალაშოვა, დავნეროვიჩი, დუშინა, სემიონოვა, კუშოვა, სოლიაპინა, ივანოვა, ნოვიკოვა.

მქსოველმა ქალებმა მუშაობა დაამთავრეს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 14 წლისთავისათვის და ხალიჩა საჩუქრად მიართვეს მუზეუმს, რომელიც ლენინის სახელს ატარებს.

მუშა-ქალ ფილიმონოვას ძვირფასი ნაპოვნი

ბაბაროვსკი, 28 იანვარი (საკდესი). კურორტ შმაკოვსკის (უსურიისკის ოლქი) მუშა-ქალმა ფილიმონოვამ ამ დღეებში სანთლის ყოფილი ქარხნის რაიონში ძვირფასი რამ იპოვნა. მის მიერ ამოთხრილ ქილაში აღმოჩნდა მეფის დროს მოჭრილი სხვადასხვა ღირებულების ოქროს ფული 25 ათასი მანეთის თანხისა და ათასი მანეთის ვერცხლი. ფილიმონოვამ ნაპოვნი გადასცა სახელმწიფოს.

1938 წლის ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმა (ათას ჰექტარობით) საქართველოს სს რესპუბლიკისათვის

1938 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმა (ათას ჰექტარობით) საქართველოს სს რესპუბლიკისათვის დაწესებულია შემდეგი ოდენობით:

საგაზაფხულო თესვა (გასული წლების ბალახების გამოკლებით)—საბჭოთა მეურნეობებისათვის — 4.1, კოლმეურნეობებისათვის — 492,4 და ერთპიროვნულ მეურნეობათათვის — 129,5

წმინდა ანეულთა მოხვნა: საბჭოთა მეურნეობებისათვის — 0.2. კოლმეურნეობებისათვის — 51.

მარცვლეული კულტურების სათესმოდგომო თესვა: საბჭოთა მეურნეობებისათვის — 2,1, კოლმეურნეობებისათვის — 265, ერთპიროვნულ მეურნეობათათვის — 40.

მზრალად ხვნის გეგმა: საბჭოთა მეურნეობებისათვის — 1,5, კოლმეურნეობებისათვის — 300.

კოლმეურნეობებში მარცვლეულ კულტურათა საგაზაფხულო თესვის გეგმა (ათას ჰექტარობით) დაწესებულია შემდეგი ოდენობით: სულ მარცვლეული კულტურები — 392,2, აქედან ხორბალი — 39, ქერი — 63,5, შვრია — 4, ფეტვი — 6,2, სიმინდი — 268, ცერცვოვანი კულტურები — 6.

ტექნიკური კულტურების ხაზით კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვის გეგმა შეადგენს (ათას ჰექტარობით) სულ 41-ს, აქედან: ბამბა — 1,7, მზესუმზირა — 11,2, შაქრის ჭარხალი — 5,5, ხუმუშა სელი — 0,8, თამბაქო — 15,7, ეთერ-ზეთოვანი კულტურები — 0,8.

საბოსტნე-საბაზრო საკვები კულტურების საგაზაფხულო თესვის გეგმა კოლმეურნეობებისათვის (ათას ჰექტარობით) მოცემულია შემდეგი ოდენობით: სულ საბოსტნე-საბაზრო კულტურები — 18, აქედან კარტოფილი სულ — 8,3; სულ საკვები კულტურები გასულ წლების ბალახების გამოკლებით — 41,2, აქედან ერთწლიანი ბალახები — 30, უსაფარო მრავალწლიანი ბალახები — 6, აქედან იონჯა — 5, საკვები ძირნაყოფა — 2,2. გარდა ამისა გასული წლების ბალახების სათიბი ფართობი — 9,2, საფარიანი ბალახების ნათესები — 2, აქედან: სამყურა — 0,8.

მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების სათესლეების დატოვების გეგმა 1938 წლისათვის დაწესებულია (ათას ჰექტარობით) შემდეგი ოდენობით: კოლმეურნეობებში მრავალწლიანი ბალახები სულ — 2,2, აქედან: სამყურა — 0,2, იონჯა — 1,5. კოლმეურნეობებში ერთწლიანი ბალახები — 1.

კოლმეურნეობებში სამყურისა და იონჯის სათესლეების გაშენებისა და მდელო-საძოვრების ბალახთა სათესლეების გაშენების გეგმა 1938 წლისათვის დაწესებულია (ათას ჰექტარობით) ფართო მწკრივებად ნათესი იონჯისა — 0,5.

იტალიის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ცნობის გამო

სარწმუნო წყაროებიდან საკდესმა მიიღო შემდეგი ცნობა:

იტალიის მთავრობის მიერ რომში ამ დღეებში გამოქვეყნებულმა ცნობამ იტალიის ფირმებისა და დაწესებულებების კუთვნილ გადასახლეთა შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ა/წ. 14 იანვრის დადგენილების გამო, დამახინჯებულად დასახა რა ამ დადგენილების გამოცემის მიზეზები, დუმილით აუარა გვერდი ყველაზე მთავარს: იტალიის ერთერთი ფირმის მიერ იმ თანხის თვითნებური გადაუხდელობის ფაქტებს, რომელიც ეკუთვნოდა საბჭოთა ორგანიზაციებს იტალიაში შეტანილი საბჭოთა საქონლისათვის. იტალიის მთავრობის აღნიშნული ცნობა, არ თაკილობს რა არავითარ საშუალებას საზოგადოებრივი აზრის მიმართ, ცდილობს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 14 იანვრის დადგენილების გამოცემა ახსნას სრულიად არა სერიოზული მტკიცებით, თითქოს სსრ კავშირს მიმდინარე წელს იტალიისა ემართოს „ათეული მილიონები" და იმასაც კი არ აღნიშნავს, თუ რა „ათეული მილიონებია" ეს. ნამდვილად კი იტალიასიდმი სსრ კავშირის საერთო დავალიანება მიმდინარე წელს დაახლოებით სულ 185 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენს. ზედმეტია იმის განმარტება, რომ ასეთი თანხა წარმოადგენს იმ გადასახდელთა სრულიად უმნიშვნელო ნაწილს, რასაც სსრ კავშირი თავისი ვაჭრობის ხაზით რეგულარულად და თავის დროზე უხდის ყველა სხვა ქვეყანას, რომელნიც კი წესიერად ასრულებენ თავის ვალდებულებებს საბჭოთა ორგანიზაციების მიმართ.

სავსებით ცხადია, რომ იტალიის მთავრობის აღნიშნული ცნობა მიზნად ისახავს დაფაროს ის ფაქტები, რომ იტალიის ზოგიერთი დაწესებულება და ფირმა თვითნებურად და უკანონოდ აგვიანებს საბჭოთა ორგანიზაციებთან წარმოებულ მთელი რიგი სავაჭრო ოპერაციების გადასახდელთა შეტანას.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიმართვა

პარიზი, 21 იანვარი (საკდესი). ვილჟუივში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ სამძიმარი გამოუცხადა აფეთქების მსხვერპლთა ოჯახებს; პოლიტბიურო გამოსთქვამს გაკვირვებას, რომ ფაშისტ შეთქმულების — „კაგულარების" მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გამოძიება დღემდე წინ არ წაწეულა. საზოგადოებრივი აზრი, — აღნიშნავს პოლიტბიურო, — გაოცებულია თუ რატომ არ არის დაკითხული საფრანგეთის საწარმოთა პატრონების ასოციაციის თავმჯდომარე ჟინუ ეტუალის მოედანზე მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით, და რატომ არ არის დაკითხული რენის უდიდესი კონცერნის პატრონი მიშლენი იმ საქმიანობის შესახებ, რასაც ფაშისტი ტელეგრაფისტები მის საწარმოში ეწევიან.

პოლიტბიურო ჰფიქრობს, რომ „შრომის ქარტია", რომელსაც შოტანის მთავრობა ამუშავებს, უნდა შეიცავდეს ხელფასის მოძრავი შკალის გამოყენების გარანტიებს და განსაზღვრავდეს მუშა ხელის დაქირავებისა და დათხოვნის წესებს, რათა მიღწეულ იქნას სოციალური დამშვიდება, რომლის ჩაშლასაც ყინუ ცდილობს. პოლიტბიურო აცხადებს, რომ ჩაატარებს კამპანიას, რათა მოაწყოს დემონსტრაცია რესპუბლიკის დაცვისას 1936 წლის თებერვალში დაღუპულ მშრომელთა ხსოვნის აღსანიშნავად.

საფრანგეთის კომპარტია მთავრობისაგან მოითხოვს ენერგიული ზომების მიღებას

პარიზი, 28 იანვარი (საკდესი). ამას წინათ პარიზის გარეუბანში—ვილჟუივში მოხდა ფაშისტ შეთქმულთა იარაღის საწყობებიდან წაღებული ყუმბარების აფეთქება, რის გამო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სამდივნომ სამძიმარი გამოუცხადა მოკლულთა ოჯახებს, რომლებიც გახდნენ საერთაშორისო ფაშიზმის დავალებით საფრანგეთში მომქმედი „კაგულიარების" დანაშაულებრივი მახინაციების მსხვერპლი. საფრანგეთის კომპარტია მთავრობისაგან მოითხოვს, მიიღოს ენერგიული ზომები იმისათვის, რომ ფაშისტ მკვლელებს მოესპოთ დანაშაულობის ჩადენის საშუალება. „ლუმანიტე" მოუწოდებს პარიზის მოსახლეობას უახლოეს კვირას, 30 იანვარს, გამართოს ვილჟუივში დემონსტრაცია და გამოსთქვას თავისი მტკიცე სურვილი ბოლო მოეღოს საფრანგეთში ფაშისტ მკვლელებს.

ვილჟუივის კომუნისტი დეპუტატი რაიმონ გიუიო შეკითხვას მისცემს შინაგან საქმეთა მინისტრს აფეთქებისა და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიღებაც განზრახული აქვს მინისტრს იმ მიზნით, რომ ბოლო მოეღოს „კაგულიარების" და სხვა ფაშისტ შეთქმულთა დანაშაულობებს.

მოკლე ცნობები

— რუმინეთში დაიწყო საარჩევნო კამპანია ახალი პარლამენტის არჩევნებისათვის, ნაცვლად დეკემბერში დათხოვნილისა.

— საბირჟო ფასები საფრანგეთში საშუალოდ 5 პუნქტით დაეცა. როგორც პრესა აღნიშნავს, ფასების დაცემაზე ნაწილობრივ გავლენა მოახდინა რუზველტის განცხადებამ, რომლითაც მან გაილაშქრა ხელფასის შემცირების წინააღმდეგ.

— 12 თებერვალს ლონდონში გაიხსნება ჩინეთის დახმარებისა და იაპონიის ბოიკოტის საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციის გახსნის დღეს სამეფო ოპერის შენობაში გაიმართება დიდი მიტინგი.

— საოლქო სასამართლომ ქალაქ სუვალში (პოლონეთი - ბელოსტოკის სავოევოდო) შვიდ კაცს, რომელთაც ბრალდებათ კომუნისტური მოღვაწეობა, მიუსაჯა პატიმრობა 2-დან 5 წლამდე.

— „უნივერსულის" ცნობით, სამხედრო სასამართლომ კონსტანცაში, (რუმინეთი) სამ კაცს, რომელთაც ბრალდებათ კომუნისტური პროპაგანდა, მიუსაჯა პატიმრობა სამ-სამი წლის ვადით.

— 8 იანვარს გამოცხადებული დურგალთა გაფიცვა ფირმა „ფეგუშის" საწარმოებში ჭეოლენში (სლოვაკია) წარმატებით დამთავრდა. ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნები ხელფასის გადიდებისა და კოლექტიური ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესახებ.

— რეიტერის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტის ცნობით, შანხაიში საბოლო

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების შესწავლა

ჭიათურა, 29 იანვარი (საქდესი). რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის იანვრის პლენუმის დადგენილებათა შესასწავლად. რაიონის ყველა პირველადს პარტორგანიზაციებსა და პარტგანათლების მთელ ქსელში მიმდინარეობს ხმამაღალი კითხვა და განხილვა პლენუმის დადგენილებასა „პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საკ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ - ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე".

ჭიათურის მარგანეცის ღენინის სახელობის მაღაროს პირველადს პარტორგანიზაციაში პლენუმის დადგენილების განხილვისას სიტყვებით გამოსული კომუნისტები აღნიშნავდნენ, რომ ხალხის შენიღბული მტრები პარტიიდან რიცხავდნენ უდანაშაულო, პატიოსან და თავდადებულ კომუნისტებს; მაღაროს პარტკომის ყოფილი მდივანი ავალებდა პარტიის წევრებს დაეწერათ ცილისწამებლური განცხადება პარტიის პატიოსან წევრებზე. ხალხის მტრების მიერ დაწერილი ასეთი ცილისწამებლური განცხადებით პარტიიდან გაირიცხა უდანაშაულო კომუნისტი სიმონ ვაშაძე.

პარტიის რაიონულ კომიტეტს და პირველადს პარტორგანიზაციებს არ გამოუტანიათ სათანადო დასკვნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან და ისინი ჯერ კიდევ არ შესდგომიან პარტიიდან გარიცხულთა აპელაციების განხილვას.

გაზეთი „ჭიათურის მაღაროელი" ძველებურად მუშაობს, იგი კიდევ განაგრძობს კომუნისტებზე ცილისწამებლური მასალების მოთავსებას თავის ფურცლებზე. მაგ., გაზეთმა გამოაქვეყნა მასალები პარტიის უდანაშაულო წევრებზე ვ. მეხჩიშვილზე, ვ. ბერაძეზე და ჩ. კოტლოვზე, რომ ვითომც მათ მტკიცე კავშირი აქვთ ხალხის მტრებთან და მავნებლობას ეწეოდნენ, მაგრამ პარტკაიკომის მიერ გამორკვევამ დაადასტურა, რომ გაზეთში მოთავსებული მასალები მეხჩიშვილზე, ბერაძესა და კოტლოვზე ცილისწამება იყო.

გაზეთი, ნაცვლად იმისა, რომ გამოექვეყნებინა აღნიშნული ამხანაგების სიმართლე, სდუმს.

∞

ბათუმი, 29 იანვარი (საქდესი). გამოაქვეყნდა თუ არა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, ქალაქის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში გაიშალა მისი ფართოდ განხილვა. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების ხმამაღალი კითხვა, ეწყობა მისი გულდასმით შესწავლა.

უდიდესი აღტყინებით ჩატარდა პარტიული კრებები ნავთსახდელი ქარხნების, „გლავნეფტის" ბაზის, ნავსადგურის, რკინიგზის და სხვა პარტორგანიზაციებში. კრებებზე გამოსული კომუნისტები და მთელი კოლექტივი უდიდესი აღფრთოვანებით მიესალმნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას, რომელიც მეტად ბასრ იარაღს წარმოადგენს ხალხის შენიღბული მტრების, კარიერისტების და ბიუროკრატების წინააღმდეგ, რომლებიც პარტიიდან რიცხავენ პატიოსან და თავდადებულ კომუნისტებს.

პარტიაში ახალ წევრთა მიღებას სუსტად ხელმძღვანელობენ

ჭიათურა, 27 იანვარი (საქდესი). ერთ წელზე მეტი გავიდა ჭას შემდეგ, რაც განახლდა საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღება, მაგრამ ჭიათურის რაიონის ზოგიერთ პირველად პარტორგანიზაციებს დღემდე ვერ შეუგნიათ პარტიის რიგების ზრდის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა და სუსტად ხელმძღვანელობენ პარტიაში ახალ წევრთა მიღების საქმეს.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის დიმიტროვის სახელობის მაღაროში 700-მდე მუშა მუშაობს, ამათგან 106 სტახანოველია და 150 დამკვრელი. მაგრამ ქარხნის პარტორგანიზაციას (პარტკომის მდივანი გ. ბიწაძე) უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში არც ერთი კაცი არ მიუღია პარტიაში, არც ერთი კაცი არ მიუზიდავთ თანამგრძნობთა ჯგუფში. ხოლო პარტიაში მიღების განახლების შემდეგ პარტიის კანდიდატებიდან პარტიის წევრად გადარიცხულია მხოლოდ სამი კაცი.

ასეთივე მდგომარეობაა ვოროშილოვის სახელობის მაღაროს პარტორგანიზაციაში; პარტიის ახალ წევრთა მიღების განახლების შემდეგ საკ. კ. პ. (ბ) წევრებად დღემდე მიღებულია მხოლოდ 6 კაცი, პარტიის წევრობის კანდიდატად კი 3 კაცი. ეს იმ დროს, როდესაც მაღაროს 65 მოწინავე სტახანოველი და 147 დამკვრელი მუშა ჰყავს.

პარტიულ ორგანიზაციას უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში სრულიად არაფერი გაუკეთებია საკ. კ. პ. (ბ) რიგების ზრდისა და თანამგრძნობთა ჯგუფში ახალ წევრთა მიზიდვის საქმეში.

მაღაროს პარტკომის მდივანი ამხ. ა. კობახიძე ნორმალურ მდგომარეობად სთვლის ყველა ამ ფაქტებს და მით კმაყოფილდება.

ჭიათურის რაიონის პარტიული ორგანიზაციები სერიოზულად უნდა მოეპყრან საკ. კ. პ. (ბ) რიგების ზრდის საქმეს და ბოლშევიკურად გამოასწორონ ის სუსტი მხარეები, რომლებიც დღემდე არსებობს მათ პარტიულ მუშაობაში ამ მეტად პასუხსაგებ უბანზე.

კომუნისტები სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს

ლენინგრადი, 28 იანვარი (საქდესი). ლენინგრადის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გაშალეს იმისათვის, რომ გააცნონ კომუნისტებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საკ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე".

ქალაქის ყველა რაიონში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება წაკითხულ იქნა პარტიული განათლების წრეების მორიგ მეცადინეობაზე. ქარხნებში ეწყობა პლენუმის გადაწყვეტილებათა ჯგუფობრივი კითხვა. კიროვის ქარხანაში, ქარხანა „ელექტროსილაში" და სხვა საწარმოებში პლენუმის მასალების კითხვა სწარმოებს საამქროების, უბნების მიხედვით.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატი, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის დირექტორი ამხ. დ. ჯ. ჭოჭინაძე უამბობს ქარხანას მუშებს თავის ყოფნის შესახებ მოსკოვში — უზენაესი საბჭოს სესიაზე.
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ამხ. გ. გორგიძე თავის ამომრჩევლებთან

ტყიბული (საეც. კორესპ.). 26 იანვარს მოსკოვიდან ტყიბულში ჩამოვიდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატი, ამხანაგი გრიგოლ ნიკოლოზის-ძე გორგიძე. მაღაროების მუშათა კლუბი, სადაც შეხვედრა იყო დანიშნული, მთლად გაიჭედა ხალხით. კრება გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. ბაიდაშვილმა.

— როდესაც ჩვენი საყვარელი ამხანაგი გრიგოლ გორგიძე მოსკოვს მიემგზავრებოდა,—განაცხადა სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა ამხ. ბიძინა თოდიძემ,—ჩვენ, ტყიბულის მაღაროელებმა სსრ კავშირის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველ სესიასთან დაკავშირებით ვალდებულება ვიკისრეთ გადაჭარბებით შეგვესრულებინა ქვანახშირის ამოღების იანვრის გეგმა. ვალდებულება შესრულებულია; ქვანახშირის ამოღების იანვრის გეგმა ლენინის სახელობის მაღაროებმა 23 იანვრისათვის შეასრულეს, ხოლო სტალინის სახელობის მაღაროებმა—26 იანვრისათვის.

ეჭვი არ არის,—დაასრულა ამხ. თოდიძემ,—რომ ტყიბულის მაღაროელები, აღფრთოვანებულნი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობის წარმატებით დამთავრებით, კიდევ უფრო გაძლიერებენ ბრძოლას და ვალზე ადრე შეასრულებენ ქვანახშირის ამოღების 1938 წლის გეგმებს.

ამხანაგ თოდიძის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მუშა სტახანოველები და ინჟინერ-ტექნიკოსები: ფ. ნაჭყებია, ა. კუბლაშვილი, მატრონა ბრიზგალინა, ვლ. ხუჯაძე, შ. ლაფერაძე, ა. ქასრაშვილი, გ. ღარიბოვი, ივ. ქართველიშვილი და სხვები. ორატორები გულთბილად მიესალმებოდნენ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატს ამხანაგ გ. გორგიძეს და აღუთქვამდნენ მას, რომ ყოველმხრივ დაეხმარებიან მას დაკისრებული დიდი სახელმწიფოებრივი მოვალეობის წარმატებით შესრულებაში.

როდესაც სიტყვა აიღო ამხ. გორგიძემ, მთელ დარბაზში იგრიალა მჭუხარე ტაშმა. ყოველი მხრიდან მოისმოდა შეძახილები ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინისა და საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრენტი ბერიას პატივსაცემად.

—

მზადება საგაზაფხულო თესვისათვის

საღ როგორ ემზადებიან

ეს როგორი ლაბორატორიაა

ცაგერი, (საკ. კორ.). თესლის საკონტროლო ლაბორატორია ნესტიანს და უსუფთაო დარაბაშია მოთავსებული. ლაბორატორიას ისეთი ხუცილებელი ხელსაწყოებიც კი არა აქვს, როგორიცაა თერმომეტრი, მიკროსკოპი, საღივებელი ქალალდი და სხვ. რაიონის კოლმეურნეობათა უმეტესობამ ლაბორატორიას უკვე წარუდგინა თესლის ნიმუშები, მაგრამ ამ ხელსაწყოების უქონლობის გამო მათი შემოწმება შეუძლებელი ხდება. რაიმეწყანი კი არ ღებულობს რეალური ზომებს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გ. ყურაშვილი

მზადება გაიშალა

ჩხარი. ზედა-საზანოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში გამოყოფილია და გაწმენდილია სათესლე მასალა, მთავრდება იარაღ-მანქანების რემონტი, დასუსტებული მუშა-პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე, მინდვრად და ფენახებში გაავქვთ ნაკელი.

თესვისათვის მზადებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კომკავშირის ორგანიზაცია, რომელმაც ამ საქმეში ფართოდ ჩააბა კავშირგარეშე ახალგაზრდობაც. კოლმეურნენი უქლებლივ გამოდიან ბრიგადებში და ხალისით მუშაობენ.

დ. ჯანტურიძე

თესვისათვის მზად არიან

თბილისი. ვეხვრანის ვ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობა საგაზაფხულო თესვისათვის კარგად ემზადება. კოლმეურნეობამ 100 პროცენტით შეასრულა მძრალად ხვნის გეგმა, გამოჰყო სათესლედ 2 ტონა ქერი, 2 ტონა სიმინდი, 5 ცენტნერი ლობიო და ბოსტნეული. თესლი უკვე გაწმენდილია და შემოწმებულია ლაბორატორიაში.

კოლმეურნეობის მუშა-პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე. შეკეთებულია გუთნები და ურმები, შეგროვებულია ნაკელი, რომელიც უახლოეს დღეებში გატანილი იქნება მინდვრად.

კ. არჩვაძე

რემონტი ვადაზე ადრე დაამთავრეს

თელავი, 29 იანვარი (საქდესი). თელავის მტს-მა ტრაქტორების რემონტის გეგმა ვადაზე 16 დღით ადრე შეასრულა. 26 იანვრისათვის შეკეთებულია 60 ტრაქტორი, აქედან კაპიტალური რემონტი გაიარა ხუთმა, მიმდინარე რემონტი — 12, საშუალო — 43, რემონტის ჩარისხი კარგია. შედგენილია სათანადო აქტები.

სარემონტო ბრიგადებიდან სახელი გაითქვეს გაგნიძის, გოგოლაშვილისა და ნადირაძის სტახანოვურმა ბრიგადებმა. გაგნიძის ბრიგადამ 31 ტრაქტორის შეკეთებისათვის გათვალისწინებული ნორმა — 110 საათის ნაცვლად დახარჯა 56 საათი.

72 გუთნიდან 26 იანვარს შეკეთებული იყო 37 გუთანი; გუთნების შეკეთებაზე მუშაობს 6 ბრიგადა, მუშაობას აფერხებს დგამებისა და სხვა დეტალების უქონლობა.

გაზაფხულის მოახლოვება არ უგრძვნიათ

(„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ოჩამჩირის რაიონში თესვისათვის მზადება შეუფერხებლად ჭიანურდება. სისტემატურად ირღვევა რემონტის, თესლის გაწმენდა-გადაცვლისა და სხვა სამუშაოთა დაწესებული ვადები.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციები არ ღებულობენ ყველა ზომას თესვისათვის მზადებაში არსებული ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

ტრაქტორების, გუთნების, ფარცხების და სხვა სასოფლო - სამეურნეო ინვენტარის რემონტი რაიონში უყურადღებოდაა მიტოვებული.

ოჩამჩირის მტს-ს 25 იანვრისათვის შეკეთებული ჰქონდა 6 ტრაქტორი—გეგმის 23,1 პროცენტი. მისაბმელი ინვენტარის რემონტი კიდევ უარეს მდგომარეობაშია. გასულ წელს (ჯერ მოვლის გამო აქ დაამსხვრიეს 5 ოთხკორპუსიანი გუთნის ნაწილები. საჭირო იყო ამ გუთნების დროზე აღდგენა, მით უმეტეს, რომ მტს-ს ასეთი გუთნები ძალიან ცოტა მოეპოვება.

მტს-ში მოუწესრიგებელია შრომა, შემოღებული არ არის ორცვლიანი მუშაობა, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები მოუგვარებელია, სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო მუშები სანახევროდ ცდებიან.

მტს-ის ხელმძღვანელებს ბასილაიას და პაწკტიას ხელზე დაუხვევიათ „ობიექტური“ მიზეზი და ამით ცდილობენ ფონს გავიდნენ.—„სათადარიგო ნაწილები არ არის, მათ დროზე ვერ ვღებულობთ და რემონტიც მხოლოდ ამიტომ გვიფერხდებაო“. მართალია, სათადარიგო ნაწილების უქონლობა აფერხებს რემონტს, მაგრამ ამაში უპირველეს ყოვლისა თვით მტს-ის დირექციაა დამნაშავე. მათ ხელიდან გაუშვეს საუკეთესო დრო და მხოლოდ ახლახან შეუდგნენ ნაწილების ძებნას.

რემონტი ცუდათაა დაყენებული არა მარტო სამანქანო-სატრაქტორო სადგურში, არამედ რაიონის კოლმეურნეობებშიც. რაიმიწგანის ცნობით, 1053 ცალი შესაკეთებელი გუთნიდან კოლმეურნეობებში შეკეთებულია 874 გუთანი, 84 ზიგზაგის ფარცხიდან შეკეთებულია 38, 35 კულტივატორიდან—15. მაგრამ შეკეთებაცაა და შეკეთებაც. აქ შეკეთებულს ეძახიან ისეთ გუთნებს, რომლებსაც სახნისები არ გააჩნიათ.

რაიონს ესაჭიროება მარტო კოლმეურნეობებისათვის 5.000 ცალი სახნისი, ძაგრამ მათ მომარაგებაზე რაიმიწგანი (გამგე მ. ზარანდია) არ ზრუნავს. სახნისების გამოგზავნის შესახებ რაიმიწგანმა გასული წლის სექტემბერში გაუგზავნა მიმართვა „საქსოფლმომარაგებას“ და ამით დაკმაყოფილდა.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტს კოლმეურნეობებში აფერხებს სამჭედლოების უქონლობა. 7 სასოფლო საბჭოს სრულიად არ აქვს სამჭედლო.

ჩამორჩა თესლის გადაცვლაც. დღემდე იმ 50 ცენტნერ სიმინდის თესლიდან, რომელიც გადაცვლილ უნდა იქნას ჯერ შიან თესლზე, ერთი კილოგრამიც არ არის გადაცვლილი. მიწგანმა მიივიწყა ეს მეტად სერიოზული საქმე.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში გამოყოფილ თესლსაც არაწესიერად ინახავენ. კოლმეურნეობა „ბოლშევიკში“, „წითელ მერკულში“ და სხვ. ერთიმეორეს შეურიეს სათესლე და საფურაჟე ფონდები.

მოუგვარებელია მინერალური სასუქების შეტანაც. საკოლმეურნეო ნაკვეთებზე. რაიონის კოლმეურნეობებმა ამ გაზაფხულზე თავიანთ ნაკვეთებზე უნდა შეიტანონ 114 ტონა ფოსფორული სასუქი, ფაქტიურად დღემდე მიღებული აქვთ 94 ტონა. აზოტოვანი სასუქი ნაცვლად 1276 ტონისა მიღებულია 7,5 ტონა.

ოჩამჩირის რაიონში მძრალად ხვნის გეგმა არ შესრულებულა. 3150 ჰექტარიდან მძრალად მოხნეს 2.214 ჰექტარი, საადრეო ხვნა კი 10.379 ჰექტარიდან ჩატარებულია მხოლოდ 893 ჰექტარზე. საადრეოდ 893 ჰექტარიდან ტრაქტორით მოხნეულია 50,5 ჰექტარი. ხვნის ასე გაჭიანურება, თუ იგი სასწრაფოდ არ გამოსწორდა, საფრთხეს შეუქმნის თესვის საქმეს.

სოციალისტური შეჯიბრების გაშლას რაიონში დღემდე არ ექცევა ყურადღება. თუმცა ცალკეული კოლმეურნეობები და თვით რაიონიც ჩაებნენ შეჯიბრებაში, მაგრამ ამას დღემდე უფრო ფორმალური ხასიათი აქვს. ნამდვილი ბრძოლა პირველობისათვის საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში დღემდე არ არის გაჩაღებული. შეჯიბრებაში ჩაბმულ კოლმეურნეობებს შიგნით ბრიგადებსა და ცალკეულ კოლმეურნეობათა შორის შეჯიბრებას ყურადღება არ ექცევა. რაიონის ბევრი კოლმეურნეობა („წითელი ოტაპი“, „აკვარჩაპანი“, „წითელი არასაძიხი“, და სხვ.) სოციალისტურ შეჯიბრებაში არ არის ჩაბმული.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ოჩამჩირის რაიონში საგაზაფხულო თესვისათვის მზადება სერიოზულად ჩამორჩება.

გ. მერკვილაძე



გორის მტს-ში ამოწმებენ მძლავრ ტრაქტორ „სტალინეცს“ რემონტის შემდეგ.
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

კალინინელებმა გამოიწვიეს კამოელები

მე-3 სტალინური ხუთწლედის პირველი წელი ქალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებით დაიწყო.

1938 წელს ქარხანამ უნდა გამოუშვას 13.500 ცალი რკინის საწოლი, 2.300 ტონა ლურსმანი, 200 სასწორი, ქვის სამტვრევი და საჭრელი მანქანები, ყურძნის საწნეხები და სხვ.

წლიური გეგმის უკეთესად შესრულების მიზნით ქარხანამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კამოს სახელობის მექანიკური ქარხანა და იკისრა შეასრულოს წლიური გეგმა სტალინური კონსტიტუციის მე-2 წლისთავისათვის (5 დეკემბერი), 12 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება და 7 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება.

ამას გარდა კალინინის სახელობის ქარხანა კისრულობს წელს ქვეყანას მისცეს გეგმით გათვალისწინებულ 4.100 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად 4.400 ათასი მანეთის პროდუქცია.

ამ ვალდებულებათა ბოლშევიკური შესრულებისათვის ქარხნის წიგნით გაშლილია სოცშეჯიბრება სამჭროებს, ბრიგადებსა, სტახანოველებსა და ცალკეულ უბნებს შორის.

რკინის საწოლების დამამზადებელმა საამჭრომ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სალურსმნე საამჭრო და იკისრა შეასრულოს პირველი კვარტალის გეგმა 15 მარტისათვის; თუჯის ჩამომხსმელმა საამჭრომ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სასწორების დამამზადებელი საამჭრო და ვალდებულება იკისრა 120 პროცენტით შეასრულოს იანვრის გეგმა. სარემონტო საამჭრომ იკისრა დროულად ჩაატაროს დაზგებისა და ნაწილების რემონტი და თავისი მიზეზით არ შეფერხოს არც ერთი საამჭროს მუშაობა, სტახანოველმა მ. ოვანეზოვმა იკისრა 150 პროცენტით შეასრულოს იანვრის გეგმა. (საქდესი).

მშენებლობას აჭიანურებენ

(ბორჯომი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ხალხის უსაზიზღრესი მტრები, ტროცკისტი თვალთმაქცები, რომლებიც ცემის დასასვენებელი სახლის მშენებლობაზე იყვნენ მოკალათებულნი, განზრახ აჭიანურებდნენ მის დამთავრებას. ისინი არადანიშნულებისამებრ ხარჯავდნენ მშენებლობისათვის გათვალისწინებულ თანხებს.

სამწუხაროდ, მშენებლობის არც ახალი ხელმძღვანელობა (დირექტორი ვ. მიქაძე) იწუხებს თავს მის დროულად დამთავრებისათვის, არ იბრძვის მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

აი რამდენიმე მაგალითი: ახალი კლუბი, რომელიც მავნებლურად იყო აგებული, დღემდის არ შეუკეთებიათ, წვიმის დროს მასში წყალი ჩადის და კედელი ინგრევა. გზის საყრდენი კედლებიც ცუდადაა ამოყვანილი.

საუკეთესო ხარისხის საშენ მასალას ინჟ. დეგტიარიოვის მავნებლური განკარგულებით საწვავ მასალად ხმარობენ, ხოლო მშენებლობისათვის საჭირო გაჯი გაჰყიდეს და აღებული თანხა გაანიავეს.

მშენებლობაზე სახელმწიფო ქონებას დაუდევრად ეპყრობიან. რამდენიმე თვეა ცის ქვეშ უპატრონოდ გდია ტრაქტორი, რომლის ნაწილები უკვე დატაცებულია.

ცემის დასასვენებელი სახლის მშენებლობა 1935 წლისათვის უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მავნებლური მუშაობის გამო, დღესაც არ არის დამთავრებული.

საჭიროა სასტიკი ზომების მიღება მშენებლობის გამჭიანურებელთა წინააღმდეგ.

გ. ლომიძე

დედათა და ბავშვთა ინსტიტუტი უმსგავსოდ მუშაობს

პროფ. გ. ღამბარაშვილი.
ექიმი მ. ზიგინდიშვილი.

ჩვენს ორდენოსან საქართველოში მრავალ დაწესებულებათა შორის ჯანსახკომს აქვს დედათა და ბავშვთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ ინსტიტუტს არც ჯანსახკომი აქცევს ჯეროვან ყურადღებას და თვით ინსტიტუტის ხელმძღვანელობაც (დირექტორი—ე. სობესტიანსკი) თავს არ იწუხებს მუშაობის ნორმალური პირობების შექმნისათვის. ამის გამო ინსტიტუტში ნამდვილად მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული მკურნალობის ნაცვლად, ყოველ წუთს მოსალოდნელია სამკურნალოდ მოსულთა ავადმყოფობის უფრო გართულება და მდგომარეობის გაუარესება.

დავიწყოთ იქიდან, რომ ინსტიტუტში სამკურნალოდ მოყვანილ მშობიარეებს და ვინეკოლოგიურ ავადმყოფებს წინასწარი სანიტარული დამუშავების გარეშე პირდაპირ აწვენენ საწოლზე. ამიტომ საკვირველი არ არის ის გარემოება, რომ ინსტიტუტის ყველა განყოფილებაში იშვიათი არ არის უსუფთაობის აღმაშფოთებელი შემთხვევები. ეს მაშინ, როცა დიდი საბჭოთა კავშირის შორეულ სოფლებშიც კი ვერ შეხვდებით ასეთ მდგომარეობას. ინსტიტუტში არ ხდება ავადმყოფთა ტანისამოსის დეზინფექცია, დეზინფექციას არ უკეთებენ იმ ლოგონსაც, რომელზედაც იწვნენ სისხლის მოწამლვითა და ჩირქოვანი სენით დაავადებულნი. ასეთ პირობებში ჯანსაღი მშობიარე, რომელსაც ასეთ ლოგონში აწვენენ, გადამდები სენით დაავადების საფრთხეშია.

ინსტიტუტში თეთრეულის დიდი ნაკლებობაა განსაკუთრებით გვაკლია ზეწრები, ბალიშის პირები, ქვეშსაფენები და სხვ. საბებიო განყოფილებაში, სადაც ჩვენ გვიხდება მუშაობა, ავადმყოფებს ახურიათ მხოლოდ საბანი, რომლისთვისაც წლობით არ გაუკეთებიათ დეზინფექცია.

ყოველად საძაგლად მუშაობს სამრეცხაო. გარეცხილი საცვლების ზარისხი ძალიან ცუდია და გარეცხვაც ჭიანურდება. არაფერს ვიტყვით სტერილიზებულ წყალზე, ადუღებული წყალი რომ მაინც იშოვებოდეს საკმაო რაოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტს ყოველგვარი პირობა აქვს ადუღებული წყლის ცენტრალიზებული მომარაგებისათვის, დირექცია თავს არ იწუხებს ამ საჭირო საქმის მოსაგვარებლად და ჩვეულებრივად „ობიექტური მიზეზებით“ იმართლებს თავს.

სხვა მრავალ უმსგავსობასაც შეამჩნევთ ამ ინსტიტუტში. ამ უმსგავსობათა შესახებ არაერთხელ მიგვიმართავს ინსტიტუტის დირექტორის ე. სობესტიანსკისათვის, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისათვის, არაერთ და ორ ბრიგადას და კომისიას შეუსწავლია ინსტიტუტის ასეთი მდგომარეობა, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. საქმეს ვერ უშველა თვით საკავშირო ჯანსახკომის ბრიგადამაც, რომელმაც ინსტიტუტში შექმნილ აღმაშფოთებელ უმსგავსობათა შესახებ აცნობა საქ. ჯანსახკომის ყოფილ მავნებლურ ხელმძღვანელობას, მაგრამ ხალხის მტერს ნაკლოვანებათა გამოსწორება არ აინტერესებდა.

ეს ინსტიტუტი რესპუბლიკურია. ეს მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს სამშობიარო სახლთა ფართოდ გაშლილი ქსელისათვის. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ცუდ მაგალითს იძლევა ჩვენი ინსტიტუტი. ცუდად მუშაობს ინსტიტუტის დირექცია, სუსტად ხელმძღვანელობს მას საქ. ჯანსახკომი.

ყველაფერი ეს ჩვენი ბედნიერი და საამური ცხოვრების ეპოქაში ყოვლად შეუწყნარებელია.

როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი უდარდელობა?

(ცხაკაია, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმე მეტად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. ცხაკაიას რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს ამ მნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხის შესახებ არა ერთხელ გამოუტანიათ დადგენილებანი და დაუსახავთ ღონისძიებანი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ რაიონში ამ საქმეს აქამდე არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. დადგენილებანი, ღონისძიებათა დასახვა ერთია, ხოლო მეორეა მათი განხორციელება, ცხოვრებაში გატარება.

მიმდინარე 1937-38 სასწავლო წლის დასაწყისში აღრიცხვით გამოირკვა, რომ რაიონში არის 1535 წერაკითხვის უცოდინარი და 1360 მცირემცოდნე. ეს მეტად დამაფიქრებელი ფაქტია. მართალია, განათლების განყოფილებამ მოახდინა წერაკითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა აღწერა, ვითომდა დააკომპლექტა სკოლები, მაგრამ შემდგომ ვერ უზრუნველჰყო ამ საქმის ხელმძღვანელობა და სკოლები დაიშალა.

ადგილებზე პარტკომკავშირის ორგანიზაციების ინიციატივით გამოყენებულ იქნა ადგილობრივი კულტურული ძალები, რომელთაგან თითოს მაინც მაინც მოეწერა 2-3 უცოდინარი, მაგრამ განათლების განყოფილებამ აქაც ვერ გამოიჩინა საქმით დაინტერესება, მასწავლებლები და მსმენელები ვერ უზრუნველჰყო სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით. მაგალითად, ქ. ცხაკაიას პირველ უბანში წერა-კითხვის უცოდინარია 40 კაცი, ხოლო მცირემცოდნე — 17. თვითეულ 2-3 მსმენელზე მიმაგრებულ იქნა თითო მასწავლებელი. მასწავლებლები ხალისით მოეკიდნენ ამ საქმეს, ხოლო განათლების განყოფილებისაგან მოითხოვდნენ ხელმძღვანელობას და სასწავლო ნივთებით მომარაგებას, მაგრამ განათლების განყოფილებამ დღემდე ვერ დააკმაყოფილა მასწავლებელთა სამართლიანი მოთხოვნა. საქმე ფერხდება და მუშაობა ხელმეორედ ჩავარდნის საფრთხის წინაშეა. კიდევ მეტი, — განათლების განყოფილების ინსტრუქტორს ამხ. კ. ჯინორიძეს არაერთხელ სთხოვეს მასწავლებლებმა მისულიყო ადგილზე, გასცნობოდა საქმის ვითარებას, გაეწია ხელმძღვანელობა, მაგრამ ჯინორიძემ ერთხელაც არ შეიწუხა თავი, არ ნახა, თუ რა მდგომარეობაშია წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმე ამ უბანში.

დროა განათლების განყოფილებამ, ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს მთელი სერიოზულობით მოჰკიდოს ხელი.

გრ. გეგენავა.

დ. რუდოლფია

მანქანა-იარაღების რემონტი უნდა გაუმჯობესდეს

განვლილი ორი სტალინური ხუთწლედის მანძილზე ძირიანად გადახალისდა ჩვენი სახალხო მეურნეობის ტექნიკური ბაზა. თითქმის მთლიანად განახლებულია მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდები, შექმნილია მძლავრი სამრეწველო ტექნიკა, სამრეწველო წარმოების ახალი დარგები, ახალი ფაბრიკა-ქარხნები. სოციალისტური მანქანათმშენებლობის პროდუქცია 13,5-ჯერ გაიზარდა. თითქმის ოთხჯერ იმატა შრომის ენერგოშეიარაღებამ, 3-ჯერ გადიდდა შრომის ნაყოფიერება, ამდენადვე გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა.

ამასთან დაკავშირებით, საგრძნობლად გადიდდა მრეწველობის ძირითადი ფონდების დატვირთვა, 1936 წელს სოციალისტურ მრეწველობაში მანქანა-იარაღების ცვლაობის კოეფიციენტი — 1,7 შეადგენდა, ხოლო ცალკეულ დარგებში, მაგალითად, სათბობის მრეწველობაში, მან 1,89 მიაღწია.

ძირითადი კაპიტალის ასეთი დატვირთვა არ მომხდარა არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში. პირიქით, კაპიტალიზმს ახასიათებს საწარმოო აპარატის ჭრონიკული დაუტვირთავობა. გერმანიის მრეწველობა 1935 წელს, თვით ბერლინის საკონიუნქტურო ინსტიტუტის მონაცემებით, დატვირთული იყო საპროექტო სიმძლავრის მხოლოდ 58,6 პროცენტით.

თვით ა. შ. შტატებში, ამ მოწინავე კაპიტალისტურ სახელმწიფოშიც, 1935 წელს საავტომობილო მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქცია არ აღემატებოდა მრეწველობის ამ დარგის საპროექტო სიმძლავრის 33 პროცენტს, ხოლო ამერიკის ფოლადის მრეწველობა 1937 წლის დეკემბერში დატვირთული იყო თავის სრული სიმძლავრის მხოლოდ 24 პროცენტით.

ლ. მენდელსონის ცნობებით, რომელიც დამყარებულია „ჯორნალ ოფ კომერსის“ გაანგარიშებაზე, გასული წლის მარტიდან ნოემბრამდე ა. შ. შტატებში ფოლადის გამოდნობა შემცირდა 59 პროცენტით.

სულ საწინააღმდეგო მოვლენა,—ძირითადი საწარმოო ფონდების მაქსიმალური დატვირთვა, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა კავშირის სოციალისტურ მრეწველობაში, აჩქარებს სამრეწველო მოწყობილობათა და მანქანა-იარაღების გამოყენებას და, მაშასადამე ძირითადი საწარმოო ფონდების ამორტიზაციას.

ფიზიკური გაცვეთისა და ამორტიზაციის პროცესთან ერთად გროვდება საამორტიზაციო ფონდი, რომელიც განსაზღვრული ფულადი კაპიტალის ფორმას ღებულობს მანამდე, ვიდრე არ დადგება შრომის ძველი იარაღების ახლებით შეცვლის ვადა.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საამორტიზაციო ფონდის მთელი თანხა მარტო კაპიტალური რემონტის (ძირითადი ფონდის მარტივი რეპროდუქცია) საჭიროებას ხმარდებოდეს. პირიქით, სოციალისტური მეურნეობის პირობებში საამორტიზაციო ფონდის პრაქტიკული გამოყენება მიტ წილად ძირითადი ფონდების გაფართოვებული რეპროდუქციის ფორმას ატარებს. საამორტიზაციო ფონდს იყენებენ ან ახალი, დამატებითი საამჭროების მოსაწყობად, საწარმოთა ფართობის გადიდებლად (ექსტენსიური რეპროდუქცია) ან, ხშირად საამორტიზაციო ფონდის დიდი ნაწილი ხმარდება ისეთი გაუმჯობესებული იარაღ-მანქანებისა და მოწყობილობის შეძენას, რომელთა გამოყენებით დიდდება შრომის ნაყოფიერება და ამით ფართოვდება პროდუქციის გამოშვება (ინტენსიური რეპროდუქცია).

საამორტიზაციო ფონდის გამოყენების ორივე ფორმას ჭეიყნის სამეურნეო ცხოვრებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

1922-32 წლების მანძილზე საამორტიზაციო ანარიცხების დაგროვებამ საკავშირო სოციალისტურ მრეწველობაში 4000 მილიონ მანეთს გადააჭარბა, ხოლო 1932-1935 წლებში მთელი მრეწველობის ხაზით დაგროვებულ იქნა 3500 მილიონ მანეთზე მეტი საამორტიზაციო ანარიცხები.

ახალი ტექნიკის შეჭრასა და მის ათვისებასთან ერთად გაიზარდა მოქმედი ძირითადი ფონდების დატვირთვა, გადიდდა ცვლიანობის კოეფიციენტი, იმატა მანქანა - იარაღებისა და მოწყობილობათა გამოყენებამ. ამას ლოგიკური აუცილებლობით უნდა მოჰყოლოდა მანქანა-იარაღების სისტემატური „აღდგენა“ კაპიტალური რემონტის ჩატარების სახით. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნების სუსტი მუშაობა აიხსნება იმით, რომ კაპიტალური რემონტის დროზე ჩაუტარებლობის გამო მოშლილია და ზოგან დეზორგანიზებულია მანქანა-იარაღები, ხოლო დაგროვილი საამორტიზაციო ფონდი ხმარდება არა ტექნიკურად გაცვეთილი მანქანების „აღდგენას“, არამედ, უმთავრესად, ახალ მშენებლობას.

საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში ძირითადი საწარმოო ფონდების კაპიტალური რემონტის მოცულობა 1936 წელს შეადგენდა 312 ათას მანეთს, წლიური საამორტიზაციო ფონდის მხოლოდ 17,2 პროცენტს, ხოლო 1937 წელს 2.200 ათას მანეთის რაოდენობით დაგროვილი საამორტიზაციო ფონდიდან ძირითადი ფონდების კაპიტალური რემონტის საჭიროებას მოხმარდა მხოლოდ 377 ათასი მანეთი.

1935 წლიდან დღემდე არავითარი კაპიტალური რემონტი არ ჩატარებულა თეძლავის აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაში. ამავე პერიოდის განმავლობაში ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში კაპიტალურ რემონტზე დახარჯულია მხოლოდ 30 ათასი მანეთი. საქართველოს სატრიკოტაჟო და სართავი მრეწველობის ხაზით მანქანა-იარაღებისა და მოწყობილობათა კაპიტალური რემონტის მოცულობა თითქმის ორნახევარჯერ შემცირდა. თუ 1935 წელს კაპიტალურ რემონტზე დაიხარჯა 400 ათასი მანეთი, 1937 წელს მისი მოცულობა 165 ათას მანეთს არ აღემატებოდა.

ასეთივე შედგომარეობაა საქართველოს როგორც ადგილობრივ მრეწველობაში, ისე კვების და სატყეო მრეწველობაშიც.

კაპიტალური რემონტის უგულებელყოფა, მისი უმართებულო ორგანიზაცია იწვევდა მეტად არასასურველ მოვლენებს: წარმოების ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევებს, მოწყობილობათა და მანქანა-იარაღების ხშირ გაცდენებს, სტახანოვური მოძრაობის შეფერხებას, წუნდებული პროდუქციის ხვედრითი წონის გადიდებას.

კაპიტალური რემონტის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია ნაწილობრივად გამოწვეულია იმით, რომ ფაბრიკა-ქარხნებისა და საწარმოთა დირექტორებს საამორტიზაციო ფონდებისადმი დღემდე არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონიათ. ამორტიზაციის წესით დაგროვებულ თანხებს ანაწილებდნენ სათანადო საეურნეო კომისარიატები და მათ სისტემაში შემავალი დარგობრივი სამმართველოები.

საკავშირო სახკომსაბჭოს მიმდინარე წლის 9 იანვრის დადგენილებით საამორტიზაციო თანხების ასეთ გაუპიროვნებას ბოლო ეღება. „სამრეწველო საწარმოებში საამორტიზაციო ანარიცხთა გამოყენებისა და რემონტის ჯაუმჯობესების შესახებ“ მთავრობის მიერ გამოტანილ დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საამორტიზაციო თანხების გამოყენების დღემდე არსებული არასწორი წესი ასუსტებს სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას რემონტის საქმისათვის.

საკავშირო სახკომსაბჭო მიუთითებს სამეურნეო მუშაკთ და სამრეწველო საწარმოთა დირექტორებს, რომ „მათ ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა ყველა მანქანის, მოწყობილობის, შენობისა და ნაგებობის სწორი შენახვისათვის“. ამასთან ერთად საკავშირო მთავრობის დადგენილება ითვალისწინებს ყველა მატერიალურ პირობას კაპიტალური რემონტის საქმის გასაუმჯობესებლად.

ჯერ ერთი, თუ დღემდე ყოველწლიური საამორტიზაციო ანარიცხები მომქმედი ძირითადი ფონდების ღირებულების მიმართ შეადგენდა, მაგალითად, მსუბუქ და კვების მრეწველობაში 4—4,5 პროცენტს, საკავშირო სახკომსაბჭოს ზემოხსენებული დადგენილების თანახმად, ეს ანარიცხები მრეწველობის ამ დარგებისათვის 5,5—6 პროცენტამდე დიდდება. მეორე, საამორტიზაციო თანხებიდან კაპიტალური რემონტის საჭიროებისათვის გადადებული თანხა მნიშვნელოვნად გადიდებულია. მაგალითად, თუ დღემდე მძიმე მრეწველობაში ყოველწლიური ასიგნობები კაპიტალური რემონტის მოსახდენად არ აღემატებოდა ძირითადი საწარმოო ფონდების პირვანდელი ღირებულების 1,5—1,8 პროცენტს, დღეს ეს ასიგნობანი გადიდებულია 2,4 პროცენტამდე, ხოლო მსუბუქ მრეწველობაში, ნაცვლად შარშანდელი 1,9 პროცენტისა, 3,6 პროცენტამდე.

მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საამორტიზაციო ანარიცხთა ნაწილი, დანიშნული კაპიტალური რემონტისათვის, ამიერიდან დატოვებული იქნება საწარმოს დირექტორის განკარგულებაში. ამით ბოლო ეღება კაპიტალური რემონტის დაფინანსების გაჭიანურებას.

ამრიგად, მთავრობის ზემოხსენებულ დადგენილებაში უკვე მოცემულია კაპიტალური რემონტის საქმის გასაუმჯობესებლად საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი. საწარმოთა დირექტორები აღჭურვილი არიან დიდი უფლებებით. საჭიროა მხოლოდ იმის შეგნება, რომ ძირითადი საწარმოო ფონდების (მანქანა-იარაღები, შენობები, ნაგებობანი) კაპიტალური რემონტის მყარ ნიადაგზე დაყენება და ამ საქმეში მტკიცე გრაფიკის დანერგვა მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმეა და მისი ჯეროვნად ყოფა დიდი დანაშაულია.

ამასთან გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს კაპიტალური რემონტის ხარისხი. ერთხელ და სამუდამოდ უკუგდებულ უნდა იქნას ის მეტად მავნე ტრადიცია, რომლის მიხედვით რემონტიდან გამოსული მანქანა მუშაობს უფრო ცუდად, ვიდრე რემონტამდე. წუნდებული რემონტის ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად საჭირო მოსამზადებელი მუშაობის სწორ ორგანიზაციას. სამეურნეო კომისარიატებმა, დარგობრივმა სამმართველოებმა, ცალკეული ფაბრიკა-ქარხნების დირექტორებმა ამთავითვე უნდა უზრუნველჰყონ კაპიტალური რემონტის გეგმის შედგენა, რემონტის ჩატარების ზუსტი გრაფიკის შემუშავება, მუშაობის ჩამტარებელი მუდმივი ბრიგადების ჩამოყალიბება საწარმოებსა და ფაბრიკა-ქარხნებში.

დიდი და პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგას წელს ჩვენი სოციალისტური მრეწველობა. ამ ამოცანების ღირსეულად გადაჭრაში კაპიტალური რემონტის მაღალ დონეზე დაყენებას დიდი და ზოგან კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

წითელი არმიის 20 წლისთავისათვის

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებში ამჟამად გაცხოველებული მზადებაა მუშურ-გლეხური წითელი არმიის 20 წლისთავის იუბილესათვის.

მზადდება წითელარმიული თვითმოქმედების საოლქო ოლიმპიადა, რომელიც ამ დღეებში უნდა მოეწყოს თბილისში.

ოლქის ჯარების ნაწილებში ახლა დიდი მუშაობაა გაშლილი. სწარმოებს წითელარმიელთა ეთნოგრაფიული და ოთხსმოვანი გუნდების, მეჩოგნურეთა, მეფანდურეთა, მოცეკვავეთა ანსამბლებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა მომზადება ოლიმპიადისათვის.

ამ საქმეს ნაწილებში ხელმძღვანელობენ საგანგებოდ გამოყოფილი ინსტრუქტორები: ორდენოსანი კომპოზიტორი ქ. ფოცხვერაშვილი, ლტბარები: სიმონიშვილი, ერქომაიშვილი, ჩიხლაძე, ორდენოსანი ვარდიაშვილი (მეფანდურეთა ინსტრუქტორი დივიზიის მასშტაბით) და ქავთარაძე (ცეკვის ინსტრუქტორი), რომლებიც ჯარის ნაწილებში საჭირო ინსტრუქტაჟს უწევენ გუნდებსა და ანსამბლებს.

ოლიმპიადაზე მნიშვნელოვანი ხაგუნდო ერთეულები მოდიან ქუთაისისა და ბათუმის გარნიზონებიდან. ქუთაისიდან მოდის წითელარმიელ-მომღერალთა გუნდი 150 კაცის შემადგენლობით — ამხ. ანასაშვილის ხელმძღვანელობით, ხოლო ბათუმიდან — მეფანდურეთა ანსამბლი ლეიტენანტ ამხ. ჯაშიაშვილის ხელმძღვანელობით.

თითქმის ყველა ქართული ნაწილში გუნდების მიერ მომზადებულია „წითელი არმიის 20 წლისთავის სიმღერა“ (სიტყვები — ორდენოსანი პოეტის ალ. მაშაშვილისა, მუსიკა — ორდენოსანი კომპოზიტორის ქ. ფოცხვერაშვილისა).

საოლქო ოლიმპიადაზე ქალ-ვაჟთა გაერთიანებული გუნდი 300 კაცის შემადგენლობით შეასრულებს „სიმღერას სტალინზე“.

საოლქო ოლიმპიადაზე შერჩეული იქნებიან საუკეთესო შემსრულებლები, რომლებიც შემდეგ გაიგზავნებიან საკავშირო საარმიო ოლიმპიადაზე მოსკოვს.

განცხადებათა მიღება სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებში

დაიწყო განცხადებათა მიღება მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებში.

სასწავლებლებში იღებენ 17-დან 22 წლამდე ჩათვლით ასაკის პირთ, რომელთაც მიღებული აქვთ საშუალო სკოლის (ათწლედის) ან ამის შესაბამისი განათლება.

მისაღები გამოცდების ვადა დაწესებულია 1 ივნისიდან 1-ლ აგვისტომდე.

სასწავლებლებში მიღებული ყველა კურსანტი სავსებით უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოს ხარჯზე კვებით, ტანსაცმლით, ბინით, სასწავლო სახელმძღვანელოებითა და ფულადი ულუფით.

სწავლის ვადა ამ სასწავლებლებში არის 4 წელი, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სამხედრო-საზღვაო საინჟინრო სასწავლებელში კი 4½ წელი.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შესვლის შესახებ შეიძლება სასწავლებლებში. გარდა ამისა, უახლოეს დროში გამოშვებული იქნება გასაყიდად „მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელთა სამმართველო.

თამბაქოს დამზადება წარმავლებით მიმდინარეობს

ყვარელი, 29 იანვარი (საქდეს). ყვარლის რაიონს გეგმის თანახმად 1937/1938 წელს უნდა დაემზადებინა 369 ტონა თამბაქო. ფაქტიურად 28 იანვრისათვის დამზადებულია 364,5 ტონა, რაც უდრის წლიურ გეგმის 99 პროცენტს.

იმის გამო, რომ ზოგიერთმა კოლმეურნეობამ და ერთპიროვნულმა მშრომელმა კარგი მაჩვენებლები მოგვცა თამბაქოს ჩაბარების საქმეში, ისინი დაჯილდოებული იქნენ. შაგალითად, სოფელ ბაღლოჯიანის „წითელი ოქტომბრის“ სახელობის კოლმეურნეობამ 25 ათასი მანეთი ჯილდო მიიღო, სოფელ ჭიკანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ — 10 ათასი მანეთი. ინდივიდუალურად დაჯილდოებულ იქნენ პაპუაშვილი, ჭერაშვილი და მამულაშვილი.

თამბაქოს ჩაბარების გეგმა 100 პროცენტით შეასრულეს სოფელ ჭიკაანის, საბუის და გრემის საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა. თამბაქოს ჩაბარებას აგვიანებენ სოფელ შილდისა და ახალ სოფლის საბჭოებში შემავალი კოლმეურნეობები. თამბაქოს დამზადება რაიონში წარმატებით გრძელდება.

ახალი კადრები სოფლის მეურნეობას.

მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტმა გამოუშვა ახალი 100 ვეტექიმი და 60 ზოოტექნიკოსი. გამოშვებული ვეტექიმებიდან სახელმწიფო გამოცდები ფრიადზე ჩააბარა და პირველი ხარისხის დიპლომები მიიღო თოთხმეტმა კაცმა, ზოოტექნიკოსებიდან კი — ათმა

წარჩინებით კურსდამთავრებულთაგან 12 კაცი დატოვებულ იქნა ინსტიტუტში სამეცნიერო სამუშაოზე სხვადასხვა კათედრებთან, დანარჩენები კი გაიგზავნენ პრაქტიკულ სამუშაოზე უმთავრესად მეცხოველეობის რაიონების კოლმეურნეობებში.

სურათზე: ახლად კურსდამთავრებული ვეტექიმები (მარცხნიდან მარჯვნივ): ეს. მაძაცევი, თამარ ბერიტაშვილი, ევ. აბრამიშვილი, ალ. ბაიაშვილი, შალ. ჩხარტიშვილი; ზოოტექნიკოსები: ნას. დათიბაშვილი, ლად. ნაროუშვილი და დავ. კობალავა.

ფოტო რ. აკოფოვისა.

Ш. РУСТАВЕЛИС ИУБИЛЕ

САЮБИЛЕО ГАМОУШЕНА ЛЕНИНГРАДШИ

ЛЕНИНГРАДИ, 28 იანვარი (საქ. ქრონ.). მაიაკოვსკის სახელობის მწერალთა სახლში გაიხსნა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია რუსთაველის ეპოქის დამახასიათებელი მრავალი მასალა. ვიტრინებში გამოფენილია „ვეფხის-ტყაოსნის“ ქართული გამოცემები, აგრეთვე პოემის უკრაინული გამოცემა და სომხური, გერმანული, ინგლისური და ფრანგული თარგმანების რეპროდუქციები. აქვე გამოფენილია მხატვრების ა. ზჰრის, ი. თოიძის, ს. ქობულაძის, თ. აბაკელიას, ლ. გუდიაშვილის ილუსტრაციები და შოთას პორტრეტები, შესრულებული ნ. ფიროსმანიშვილის, გაბაშვილის და თანამედროვე ქართველი მხატვრების მიერ.

მწერალთა სახლში მოწყობილია განყოფილება „ბელადის სამშობლოში“, სადაც წარმოდგენილია გორში მწერლების ჩასვლის, სტალინის სახლის და მწერალთა კავშირის საიუბილეო პლენუმის ფოტოსურათები; მათ შორის ბევრია კადრები, რომლებიც გვიჩვენებენ ამხანაგ ბერიას მონაწილეობას პლენუმის მუშაობაში.

ამ დღეებში ერმიტაჟის დარბაზებში იხსნება რუსთაველისადმი მიძღვნილი საერთო-საქალაქო გამოფენა.

ოთარ ეგაძე

ლენინგრადი, (საქ. ქრონ.) შესდგა ლენინგრადის მწერალთა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი შოთა რუსთაველის იუბილესადმი. სხდომა გახსნა ნ. ტიხონოვმა. რუსთაველის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა. ჩიქოვანმა წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები ქართულ ენაზე. ბორის ბრიკმა წაიკითხა ნაწყვეტები პანტელეიმონ პეტრენკოს თარგმანიდან.

მწერალმა ზაბოლოცკიმ და მიროშნიჩენკომ გაუზიარეს დამსწრეთ თავიანთი შთაბეჭდილებანი საქართველოში მოგზაურობიდან.

31 იანვარს აკ. წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა აწყობს შოთა რუსთაველის საიუბილეო საღამოს.

მოხსენებას შოთა რუსთაველზე გააკეთებს პროფ. კ. კაპანელი. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები ი. გრიშაშვილი, აბაშიძე, ჟურული და მარჯანიშვილის სახელობის თეატრისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის მსახიობები.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. საღამო შესდგება პიონერთა კლუბში (ლენინის ქ. № 3).

თბილისის მე-3 მუსიკალური სკოლის — სწავლის ფრიადოსნები ბორია სეხანიანი და გივი ხატიაშვილი მუსიკის გაკვეთილზე.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ლექციები რადიოთი

დაუსწრებელი პარტსწავლების ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების მიერ 1938 წლის თებერვალში გადაცემული იქნება შემდეგი რადიოლექციები:

1 თებერვალს ორგანიზებულ რადიომსმენელთა და მესაგნეთათვის პარტიის ისტორიაში რუსულ ენაზე გადაცემული იქნება იაროსლავსკის ლექცია თემაზე: „მენშევიკები და ბოლშევიკები სტოლიპინის რეაქციის პერიოდში და ბოლშევიკების ჩამოყალიბება დამოუკიდებელ სოციალ - დემოკრატიულ მუშათა პარტიად“ (1908 — 1912 წწ.) — ლექცია მეორე.

3 თებერვალს იგივე ლექცია გადაცემული იქნება ქართულ ენაზე.

5 თებერვალს ორგანიზებულ რადიომსმენელთათვის სსრკ ისტორიაში გადასცემენ პროფ. გოტიეს ლექციას ქართულ ენაზე. ლექციის თემაა: „აღმოსავლეთი ევროპა მონღოლ-თათართა ბატონობის ქვეშ“.

7 თებერვალს ორგანიზებულ რადიომსმენელთა და მესაგნეთათვის ლენინიზმში ქართულ ენაზე გადაცემული იქნება ლექცია თემაზე: „პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პროლეტარული რევოლუციის იარაღი“.

9 თებერვალს ორგანიზებულ რადიომსმენელთა და მესაგნეთათვის პარტისტორიაში რუსულ ენაზე გადასცემენ იაროსლავსკის ლექციას თემაზე: „ბოლშევიკების პარტია მუშათა მოძრაობის აღმავლობის წლებში პირველი იმპერიალისტური ომის წინ“ (1912 — 1914 წწ.).

11 თებერვალს იგივე ლექცია გადაცემული იქნება ქართულ ენაზე.

13 თებერვალს ორგანიზებულ მსმენელთა და საკოლმეურნეო აქტივის კურსებისათვის გადასცემენ კარპინსკის ლექციას ქართულ ენაზე. ლექციის თემა: „ჩვენი სტალინური კონსტიტუცია“.

15 თებერვალს ორგანიზებულ რადიომსმენელთათვის სსრკ ისტორიაში ქართულ ენაზე გადაცემული იქნება პროფ. გოტიეს ლექცია თემაზე: „რუსეთის ნაციონალური სახელმწიფოს შექმნა და თათარ-მონღოლთა ბატონობის დასასრული“.

17 თებერვალს ორგანიზებულ რადიომსმენელთა და მესაგნეთათვის პარტისტორიაში რუსულ ენაზე გადასცემენ იაროსლავსკის ლექციას თემაზე: „ბოლშევიკების პარტია იმპერიალისტური ომისა და რუსეთის მეორე — თებერვლის რევოლუციის პერიოდში“ (1914 — 1917 წწ.). — ლექცია პირველი.

19 თებერვალს იგივე ლექცია გადაცემული იქნება ქართულ ენაზე.

21 თებერვალს ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის ლენინიზმში ქართულ ენაზე გადასცემენ სტეკლის ლექციას თემაზე: „მუშათა კლასის დიქტატურა და სოციალიზმის აგება სსრ კავშირში“.

23 თებერვალს ორგანიზებულ მსმენელთათვის სსრკ ისტორიაში გადაცემული იქნება შესტაკოვის ლექცია ქართულ ენაზე. ლექციის თემა: „რუსეთის სახელმწიფო ივანე მეოთხის დროს“.

25 თებერვალს ორგანიზებულ მსმენელთა და მესაგნეთათვის პარტისტორიაში რუსულ ენაზე გადასცემენ კუჩკინის ლექციას თემაზე: „ბოლშევიკების პარტია იმპერიალისტური ომისა და რუსეთის მეორე — თებერვლის რევოლუციის პერიოდში“ (1914 — 1917 წწ.). — ლექცია მეორე.

27 თებერვალს იგივე ლექცია გადაცემული იქნება ქართულ ენაზე.

ლექციების დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ახალი წიგნები

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ახალი წიგნები: იოანე პეტრიწის შრომები, ტომი მეორე, პროფესორების შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილის წინასიტყვაობით, ფასი 15 მან.; პროფ. ს. ჯანაშია — საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, ფასი 7 მან.; ვ. კოშკაროვი და ვ. სტანჩინსკი — უხერხემლო ცხოველთა ზოოლოგიის კურსი, ფასი 15 მან.

„ბედნიერება“

სანდრო ეულის ახალი პიესა

ხელოვნების საქმეთა რესპუბლიკურ სამმართველოში განხილულ იქნა ს. ეულის ახალი პიესა „ბედნიერება“, დაწერილი მის მიერ სპეციალურად მარჯანიშვილის სახელობის თეატრისათვის.

პიესის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სამმართველოს უფროსმა გ. გოგუამ, თეატრების განყოფილების უფროსმა ლ. კანდელაკმა, რეპერტუარის განყოფილების გამგემ შ. ალხაზიშვილმა, დრამატურგებიდან — ი. ვაკელმა და გ. ბაახოვმა, მარჯანიშვილის სახელობის თეატრიდან — დირექტორმა დ. ანთაძემ, რეჟისორმა ს. ჭილაძემ და არტისტმა ვ. გოძიაშვილმა.

პიესა გვიხატავს საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლას მენშევიკების ბატონობის დროს და იმ გზას, რომლითაც მშრომელებმა მიაღწიეს ბედნიერ, სასიხარულო ცხოვრებას სტალინურ ეპოქაში. თათბირმა მიიღო პიესა და გადასცა იგი შარჯანიშვილის სახელობის თეატრს 1938-39 წლის სეზონის რეპერტუარში შესატანად. დადგმა დაავალა დ. ანთაძეს. (საქდესი).

ჩაის ახალი ფაბრიკა კოჩორაში

სოხუმი (საკ. კორ.). ოჩემჩირის ბჭოს, სოფ. კოჩორაში შენდება ჩაის ახალი ფაბრიკა, რომელიც ძირითადად მომსახურებას გაუწევს სტალინის სახელობის კოლმეურნეობას. ეს კოლმეურნეობა მთელ საქართველოში. მას ჩაის პლანტაციები გაშენებული აქვს 337 ჰექტარზე. ფაბრიკა, გარდა ამისა, ნაწილობრივ მოემსახურება აგრეთვე სოფ. პირველი კვითაულის, ქერიქენას და სხვ. კოლმეურნეობების მახლობელ ნაკვეთებს.

ახალი ფაბრიკა ყოველწლიურად გადაამუშავებს 3 მილიონ კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს.

გ. მერკვილაძე.

შემთხვევები

— **ავარია.** 28 იანვარს ღამით შოფერმა ა. ი. გასპაროვმა, რომელიც მართავდა მსუბუქ ავტომანქანას № 25—55, განავითარა დაუშვებელი სისწრაფე. პლეხანოვის პროსპექტზე მანქანა სწრაფი დამუხრუჭების შედეგად გადაბრუნდა. მანქანა დაზიანდა. ადამიანთაგან არავინ დაშავებულა, შოფერი გასპაროვი პასუხისგებაში მისცეს.

ახალი ამბები

● **უნივერსიტეტის** გამომცემლობა უმზადებს ქართულ ენაზე „ვეფხის-ტყაოსნის“ ეგრეთწოდებულ „ტეხტ“ გამოცემას. წიგნის მოცულობა 22 ფორმა ტირაჟი 8.000 ეგზემპლარი.

● **თბილისის** ხელოვნების მუშაკთა სახლთან შექმნილია საბჭო სსრკ ახალგაზრდა არტისტის ა. ვასაძის თაოსნობით. საბჭოში შედის 31 კაცი. საბჭოს პირველი სხდომა შეიკრიბება 31 იანვარს.

● **31 იანვარს,** დილის 8 საათზე, მლაშტბების რაიონში იწარმოებს საარტილერიო სროლა.

● **გამოვიდა** და ხელისმომწერლებს ურიგდება ყურნალი „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“ № 11-12.

● **დაიბეჭდა** და გამოვიდა არჩილ ჩაჩიბაიას მოთხრობა „ბუთულა“. წიგნი შეიცავს 70 გვ. და ღირს 1 მან. 25 კ. გამოცემა სახელგამის.

ქართული ენის სწორიის შესწავლა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. ი. მარის სახელობის ანსტიტუტის ქართველური ენების განყოფილება დიდ მუშაობას ატარებს ქართული ენის ისტორიის შესაფასებლად.

1937 წელში ქართლური დიალექტების შესასწავლად ინსტიტუტმა სპეციალური ექსპედიცია გაგზავნა ლიახვისა და ალის ხეობებში. ექსპედიციამ პროზაული ტექსტების მდიდარი მასალა შეაგროვა თქმულებების, გადმოცემების, ლეგენდების, ანდაზების სახით. ამჟამად მიმდინარეობს მასალის დამუშავება. ამ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიის შესწავლისათვის. მასალები დაიბეჭდება. შრომის მოცულობა შეადგენს 34 ნაბეჭდ ფურცელს.

ქართულ დიალექტებზე მუშაობა გაანგრიშებულია დამთავრდეს 1938 წელში. 1939 წელს ინსტიტუტი გადავა კახურ დიალექტების შესწავლაზე, ამის შემდეგ კი მთიულ კილოკავების შესწავლაზე (ფშავთა, თუშთა, ხევსურთა, მოხევეთა და სხვ.)

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ გაზეთ „კომუნისტში“ დამბეჭდოთ შემდეგი განცხადება: ჩემს სადაურობაცია შრომაში, რომელიც დაწყებული იყო 1929 წ. პროფ. ვ. თ. ბურკოთრფის ხელმძღვანელობით, დამთავრებული 1934 წ. და დაბეჭდილი 1935 წ. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, მე მოვიხსენიე მადლობის გამოცხადებით სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი პროფესორები და ექიმები, რომლებისთვისაც საჭიროება მქონდა მიმემართა საკონსულტაციოდ. ამ პირთა რიცხვში მოხვდა გ. ელიავაც, რომელიც 1937 წ. გამოძეხვენებულ იქნა, როგორც ხალხის დაფძინებელი მტერი, და რომელიც ამჟამად განადგურებულია.

ვგმობ რა ჩემს შრომაში დაშვებულ უხეშ შეცდომას, მინდა გაზეთის საშუალებით ვთქვა ეს საზოგადოებას და მეცნიერ მუშაკებს.

ლ. ფირცხალავა.

საქ. მედიცინტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის კანისა და ვენერიულ ინფექციებათა კათედრის გამგე

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0716220, გაცემული ჩოხატაურის რაიკომის მიერ 1936 წლის 11 ივლისს ბესარიონ ჯამუღელთის-ძე თოლორდავას ახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომი იუწყება, რომ მის მიერ 1936 წელს გაცემული პარტბილეთი № 1524095 — მარო მაქსიმეს-ასული რუხაძის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი
კ. შეროზია.

თბილისის ზ. ჭ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და გალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

30/I	ერთდრ. ტალ. № 3 დღისით რიგოლეტო დასაწყ. 12 საათზე.	
30/I	მუდმ. ადგ. ტალ. № 90 საღამოს ღაისი	
31/I	მუდმ. ადგ. ტალ. № 91 სიმფონიური კონცერტი დირიჟორი—კ. ივაშკევიჩი. სოლისტი—ნ. ვასაცი.	

დასაწყისი საკ. 8 საათზე
მეორე წყების მუდმივი ადგილების ტალონები დარიგდება 1 თებერვლიდან. მიმღებს შემოტანილი უნდა ჰქონდეს 1, 2 და 3 გადასასვლელი.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

30/I წარმ. № 91	სამანიშვილის ლეღინაცვალი
2/II წარმ. № 92	ნაპერწკლიდან

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 საათ.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938 წ. სეზონი

30/I	წარმოდგენა 87 ალკაზარ
1/II	წარმოდგენა 88 ნაპერწკლიდან
2/II	წარმოდგენა 89 ნაპერწკლიდან

იმ საწარმო-დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომლებსაც შეძენილი აქვთ მუდმივი ადგილები: მე-4 გადასახ. ელი შეტანილ უნდა იქნას 15 თებერვლამდე.
სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე.
დასაწყ. 8 საათზე.

საქ. კომ. პარტიის (ბ) ც. კ. გამომცემლობა სტატია
„კომუნისტის“ დირექტია
ლენინურმა ორივე სძლის მოწაფეებს 18 წლის ზევით შემდეგი პროფესიების შესასწავლად:
ასოთამწყობი, მბეჭდავი, ამკინძავი, ასოთჩამომსხმელი.
პირობების გაგება შეიძლება სტამბის დირექციაში დილის 12 საათიდან საღამოს 4 საათამდე, კამოს ქ. № 68.
დირექცია.

დღეს სახელოვნებო თეატრებში

დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	ახალი ხმოვანი მხატვრული ფილმი თეთრი იალქანი სცენარი ვ. კატაევ. სა. რეჟისორი ვ. ლებედინი.
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	1-ლი სეანსის ღასაწყ. 6 საათზე.
სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23	ხმოვანი მხატვრული ფილმი ლენინი ოქტომბერში დასაწყისი 6 ს.
ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	
26 კომ. სახელობის შაუმიანის ქუჩაზე	ხმოვ. მხატვრ. ფილმი ღალუპული ხომალდის საუნჯენი ღასაწყ. 7 ს.
არსენა კომკრალური ქ. № 9	
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ხმოვანი ფილმი სამშობლოს ასული დასაწყ. 6 30
ახალი ამბები	ხმ. ფილმი ახალ აზრდოგის ღღესასწაული დასაწყისი 6-ვ.

28 იანვრიდან ღღ. 6 სეანსები კინო-თეატრ „სპარტაკიდ-ში“ გადადის რ. ლუქსემბურგის სახელობის კინო-თეატრში.

სახსირკი, ტელ. 3-11-44 ღღეს, 30 იანვარს

ღღისით—2 წარმოდგენა
ღასაწყ. 1-ლისა ღღის 12 ს.
მოზრდილთან ერთი ბავშვი 8 წლამდე
უფასოდ, ან ორი ბავშვი ერთი ბილეთით
ღასაწყისი მეოთხისა 2 ს. მე-108 სრული საშუალო სკოლის სასარგებლოდ. ორივე წარმოდგენაში უკანასკნელად მონაწილეობს ლილიუშების ჯაზი
და ყველა ახალი ნომერი.
სალარო ღილის 10 საათიდან.

საღამოს, ღასაწყ. 8 ს. 30 წ.
ფართო მრავალფეროვანი პროგრამა
ახალი ნომრები
ლილიუშების ჯაზის
უკანასკნელი გამოსათხოვარი გამოსვლა
31 იანვარს ატრაქციონი
მწვრთველ ეკლერის ღათვების ჯგუფი
სატირიკოსი იგორ იუფინი და მთელი დასი.

ფინანსთა: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—5761, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—33—24. ს.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიის სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 1411